

შპს „ტეს“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	8
5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8

შპს „ტეს“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		3,057,277	2,687,113
რეალიზაციის თვითღირებულება	3	(1,575,584)	(1,664,029)
საერთო მოგება		1,481,693	1,023,084
შრომის ანაზღაურება		(868,135)	(236,505)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(209,053)	(70,001)
ცვეთის ხარჯი		(33,337)	(25,473)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5,791	8,654
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(31,659)	-
საოპერაციო მოგება		345,300	699,759
მოგების გადასახადის ხარჯი		(6,687)	(8,916)
მთლიანი სრული შემოსავალი		338,613	690,843

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	გიორგი მაღრაძე
მთავარი ბუღალტერი	_____	ანზორ ხმაღაძე

შპს „ტეს“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		3,057,277	2,687,113
რეალიზაციის თვითღირებულება	3	(1,575,584)	(1,664,029)
საერთო მოგება		<u>1,481,693</u>	<u>1,023,084</u>
შრომის ანაზღაურება		(868,135)	(236,505)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(209,053)	(70,001)
ცვეთის ხარჯი		(33,337)	(25,473)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5,791	8,654
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(31,659)	-
საოპერაციო მოგება		<u>345,300</u>	<u>699,759</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		(6,687)	(8,916)
მთლიანი სრული შემოსავალი		<u><u>338,613</u></u>	<u><u>690,843</u></u>

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი მალრაძე

მთავარი ბუღალტერი



ანზორ ხმაღაძე

შპს „ტეს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	408,049	260,023	522,952
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	90,316	65,176	24,461
მარაგები	127,789	13,205	16,140
სულ მიმდინარე აქტივები	626,154	338,404	563,553
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	93,161	178,009	172,293
სულ გრძელვადიანი აქტივები	93,161	178,009	172,293
სულ აქტივები	719,315	516,413	735,846
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი	229,394	(71,324)	(711,641)
სულ კაპიტალი	229,394	(71,324)	(711,641)
მიმდინარე ვალდებულებები			
მომწოდებლებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	489,921	587,737	1,447,487
სულ მიმდინარე ვალდებულებები	489,921	587,737	1,447,487
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	719,315	516,413	735,846

7 - 11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტეს“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი
დივიდენდის გატანა	(31,579)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(666,716)
31 დეკემბერი 2022	(711,641)
დივიდენდის გატანა	(50,526)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	690,843
31 დეკემბერი 2023	(71,324)
დივიდენდის გატანა	(37,895)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	338,613
31 დეკემბერი 2024	229,394

7 - 11 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტეს“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,561,970	1,897,763
სხვა შემოსავალი	5,738	7,052
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,088,497)	(1,112,345)
გადახდილი ხელფასები	(749,277)	(579,517)
გადახდილი გადასახადები	(495,453)	(377,914)
სხვა გადახდილი თანხები	(8,521)	(59,517)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	225,960	(224,478)
ძირითადი საშუალების შეძენა	(40,040)	(8,426)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(40,040)	(8,426)
დივიდენდის გაცემა	(37,895)	(30,000)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(37,895)	(30,000)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	148,025	(262,904)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	260,023	522,952
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	1	(25)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	408,049	260,023

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტეს (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2017 წლის მარტში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი 33ა კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 406203406.

კომპანიის მთავარი საქმიანობის სფეროა ელექტრო-მექანიკური სისტემების პროექტირება, მონტაჟი, მონტაჟის შემდგომი მომსახურება, ტექნიკური კონსულტაცია, შესაბამისობის დადგენა.

კომპანიის მფლობელების შესახებ ინფორმაცია ანგარიშგების თარიღებისთვის:

კომპანიის მფლობელი	პროცენტული წილი
ლაშა აბრამაშვილი	34%
მამუკა მეტრეველი	33%
გიორგი მაღრაძე	33%
	100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2024	2023
მასალების ხარჯები	(1,333,604)	(737,476)
შრომის ანაზღაურება	(868,135)	(488,321)
მომსახურების ხარჯები	(110,276)	(438,232)
	(2,312,015)	(1,664,029)

5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020

5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების აქტივების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

ამონაგები რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს რეალიზაციიდან აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე, ან და მომსახურების შედეგზე “კონტროლი” მოხმარებელს გადაეცემა. ყველა შეთანხმებაში კომპანია არის მარწმუნებელი და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით.

კონტროლის გადაცემის დასადგენად საჭიროა შეზღუდული მსჯელობა: როდესაც პროდუქტის ფიზიკური მიტანა ხდება შეთანხმებულ ადგილზე კომპანიას აღარ აქვს პროდუქტის ფიზიკურად ფლობის უფლება, ამ მომენტში წარმოექმნება ანაზღაურების მიღების უფლება (ერთჯერადი გადახდა მიტანაზე) და მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა მყიდველს.

სამშენებლო პროექტების შემუშავების და ელექტრო ტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოების კონტრაქტები

ამონაგების აღიარების დროულობა

კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების მიხედვით, კონტრაქტის მთელი პერიოდის მანძილზე შუალედური შესრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით, ხელშეკრულებაში მოცემული სამუშაოების ერთეულის ფასის და შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით. კონტრაქტთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მათი გაწევისთანავე.

კომპანიის თითოეული ხელშეკრულება წარმოადგენს ცალკე სახელშეკრულებო ვალდებულებას და არ საჭიროებს რთულ შეფასებებს შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულებების გადანაწილებაზე. ხელშეკრულებებში კომპანიის ანაზღაურება შესასრულებელი მომსახურების მიხედვით ფიქსირებულია.

ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისათვის, როდესაც გაწეული დანახარჯების თანხას

დამატებული აღიარებული მოგება და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშსწორების თანხის ჯამს, კომპანიას წარმოეჩნება დამკვეთისგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში, როგორც საკონტრაქტო აქტივი.

5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას მფლობელების გარდა, არ ჰყავს დაკავშირებული მხარეები.